



**ქვეყნული**  
 ხელის მოწირა და დახმარება ჩვენთვის მი-  
 იღება „საქართველოს“ რედაქციის და კორექტორის  
 ყოველდღე კვირა უძეგლებს გარდა, დღის 9-3-მდე,  
 კლამოს 5-7-მდე.  
 ხელმოწერილი წერილები არ დაბეჭდვება; დაუ-  
 ბეჭდავი მკითხველი წერილები და კორექტორის  
 სულ არ იხილება; იხილება ერთი თვის მხოლოდ დი-  
 დი წერილები და მოთხოვნები.  
 რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მო-  
 სკოვის ქუჩაზე, № 4.  
 ფოსტის აღრესი წერილებისა და ფელისათვის:  
 Тифлисъ, редакция „Сакартвело“, поч. ящикъ № 76.

**განცხადების წესი:**  
 ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10კ., სამელო-  
 ვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოეული სილაღის 4 სათამდე ღირს 4 მან.,  
 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ს. ლოსაბერიძის სტამბაში, მოსკოვის ქუჩაზე)  
 ეღირება 5 მანეთი.

**„საქართველოს“ კანტორისაგან**  
 გაზეთი „საქართველო“ 1 აგვისტოდან წლის დამლევიმდე ღირს 4 მან.  
 1 ოქტომბრამდე—2 მ. 25 კ., ერთი თვის—90 კ., აღრესის გამოცემა—40 კ.  
 მოვარგობით „კლდის“ იმ ხელის მომწერო, ვისაც მთელი წლის ფული  
 აქვს გადახდილი (5 მ.), რომ „საქართველო“ გაეგზავნებათ მხოლოდ 1 ივლი-  
 სამდე.  
 მისამართი: გ. Тифлисъ, редакция „Сакартвело“, Московская 4, поч.  
 ящикъ 76.  
 კანტორა უმორჩილესად სთხოვს თბილისის ხელის მომწერო დაუფრთხილებოდ აცნო-  
 ბონ კანტორას თუ ოდესმე მათ გაზეთი არ მიუვა.

**„ხარ უხუცის კლუბი“**  
 საზაფხულო სადგომი, მიხეილის პროსპექტი, № 131.  
 ერთი კვირის პროგრამა 27—30 აგვისტომდე  
 ხუთშაბათი 27 აგვისტო. საბავშვო სადგომი-სეირნობა სინემატოგრაფიით, ცეკვით  
 და ორკესტრით. დიდებისთვის გაიმართება უკანასკნელი კონ-  
 ცერტი არტისტი ი. კ. სარაჯიშვილისა; მონაწილეო-  
 ბით: საიმპერატორო თეატრების არტისტი-მომღერალი ი. თა-  
 მამუშვილის და სოლისტი-გიონჩელოსტი ე. ნ. კაპელიცის.  
 შუახვალ კონცერტი უფასოა.  
 პარასკევი 22 აგვისტო. როგორც დიდი დღესასწაულის წინა დღე, არავითარი  
 გასართობები არ იქნება.  
 შაბათი 29 აგვისტო. დღესასწაულის გამო გასართობები არ იქნება.  
 კვირას 30 აგვისტო. ზღაპრული დაუკრავს სიმებიანი ორკესტრი.  
 სინემატოგრაფის დასაწყისი საღამოს 8<sup>1</sup>/<sub>2</sub>, საათზე, წარმოდგენის 9 საათზე.  
 საბავშვო საღამოს 5—9 საათამდე სტუმრები კლუბში შესასვლელად იხდიან  
 ჩვეულებრივ ფასს.

**პირველი სახალხო 4 კლასიანი სასწავლებელი**  
 ან. ანასტასიას ლეონიძის სახლის ჩარამუხიშვილისა.  
 (საანბნო, უმცროსი და უფროსი განყოფილება მოსამბა-  
 დელო კლასის I, II, III, IV კლ.)  
 მისაღები გამოცემა იწყება ყველა კლასებში 1 სექტემბერს  
 1 ენკენისთვის—რუსული ენაში ყველა კლასებში  
 2 ენკენისთვის—ანგარიში  
 3 ენკენისთვის—ისტორია და სამღვთო რუსული  
 4 ენკენისთვის—გეოგრაფიის და ბუნების მეტყველობისა.  
 სწავლა იწყება 5 სექტემბერს. (10—2)

**თბილისის ნოტარიუსი**  
**გ. ლ. მაჭავარიანი**  
 სურამის ნაშრომი  
 ხსნის კონტორას 27-ს ამ აგვისტოს ვრეგნის  
 მოედანზე № 3, ვაჭრების ბანკის შენობაში

**ომის ამბები**  
**უკრაინა-გაერთიანდა**  
 ავსტრიულ გენერლების აზრი იტა-  
 ლიის ჯარზე.  
 ავსტრიულ გაზეთებმა ტონი შესცვა-  
 ლეს. იზონტო-გორიცაში იტალიის ჯა-  
 რის მოქმედების შესახებ. იგი აღნიშ-  
 ნავს იტალიელთა განსაკუთრებულ სიმა-  
 მაცეს. იტალიის არმიამ დღემდე დაპ-  
 კარგა ორი გენერალი, ცხრა პოლკოვნი-  
 კი და 40 შტაბ და ობერ-ოფიცერი.  
 რიგაში.  
 რიგა ეს მესამედ იქმნა შეუფერებე-  
 ლი. მცხოვრებნი ხელახლად გარბიან.  
 სადგურის კასას აუარებელი ხალხი მი-  
 სევია და რიგს არ უტდის. სადგურის  
 წინ მიიღო მოედანი საეცა ათასგვარი  
 ბარგი-ბარხანით. ბავაქში მხოლოდ ბი-  
 ლეთებით იღებენ მესამე კლასზე ათ  
 ფულამდე, ხოლო I—II კლასისას 20  
 ფულამდე ნებასა რთავენ. ამიტომაც რომ  
 მეტი წილი ცხენებით ჰზიდავენ მახლო-  
 ბელ ქალ. ქვედენში, იურევი და პე-  
 კოვში. მეეტლებმაც დრო ეხლა იხელ-  
 თეს და წარმოუდგენელ ფასებში სთან-  
 ხნდებიან თუნდაც მცირე მანძილზე ბარ-  
 გი გადაუტანონ ვისმეს. ეხლა რიგაში  
 აღარაინ გამოჩნის. პირიქით, აქედან  
 სტილიობენ თავს უშველონ. ყველა იმის  
 მეტადინობაშია, ღვინაზე მანც რი-  
 გორზე გადვიდნენ. მალაზიები დაცლი-  
 ერდა. ვაჭრობა შესწყდა. ფანჯრები  
 მიიღურსმა. ერთი სიტყვით, სიცოცხლის  
 ძაფი შესწყდა. (ბ. ვ.)  
 მილიცია რიგისთვის.  
 ლატიური გაზეთის სიტყვით, მილი-  
 ცია რიგისთვის უკვე მოწყობილია. უკვე  
 დანიშნულნი არიან: მილიციის თავმჯდო-  
 მარე, ნაწილის უფროსები, და დაქირა-  
 ვებული მრავალი მილიციონერი. მილი-  
 ციის ხელმძღვანელად ამორჩეულია გრო-  
 სმანი, რომელმაც, სხვათა შორის, მოა-  
 წყო გერმანელთა ცეცხლის მქრობელთა  
 რაზმი. მილიციონერთა უმრავლესობა ამ  
 რაზმიდან არის გადმოყვანილი. (ბ. ვ.)  
 ბულგარეთის პოზიცია.  
 ბულგარეთი აპირებს თავის თავის გა-  
 ყიდვას მაშინ, როცა დიდის მეტადინეო-  
 ბის შემდეგ აძლიერდნენ მაკედონიას. თუ ეს  
 მართლა მოხდება, მთელ რუსეთის მიწა-  
 ზე კენესა აღმოხდება. ჩვენ გულის სი-  
 ღრმით გვეზიზილება გერმანია, რომელმაც  
 ქვეყნის დაპყრობის მიზნით სისხლით  
 შეღება ჩვენი მიწა-წყალი. გერმანელთა-  
 დმი ზიზილი შედარებით არა რა იქნება,  
 რომელსაც ამ შემთხვევაში ბულგარეთი  
 გამოიყენებს. გერმანელი ჩვენი პირდა-  
 პირი მტრები არიან; ისინი, ყოველ შემ-  
 თხვევაში, ისტორიულად არაფრით არ  
 არიან დაავლებულნი. მაგრამ სულ სხვაა

**მ. ე. ლალიაძე და კეს.**  
 თბილისში, ვოლოდის პრ. № 6. ქუთაისში, პუშკინის ქ. № 5.  
 ხილული ფულის მხმარებელი საზოგადოების საშუალებით!  
 ხილული ფულის მხმარებელი საზოგადოების საშუალებით ინტერესი  
 მოითხოვს: სხვა ყოველთვის მხოლოდ და მარტო მიტროფანე ლალიძის  
 და ამხანაგობის ქარხნის საუკეთესო ხილული მადნეულის სამკურნალო  
 წყალი. მხოლოდ ლალიძის წყალი მზადდება უმადლები ღირსების ბუ-  
 ნებრივი მასალებისაგან, განსაკუთრებული წესით ნაღული და გამოხდილი  
 წყლით. გაუფრთხილდით ყალბ მიმბეჭდულებს, რომელთა რიცხვი მეტად  
 გამრავლდა, მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი ლალიძის წყალი, გემო და  
 სუნის საამური აქვს და უანართელობისთვის სრულიად უვნებელია.

**ახალი სკოლა კანსიონით**  
 გიმნაზიის პროგრამით  
 გაიხსნება საანბნო და მოსამბადებელი განყოფილებებით. ანუაღებენ ბავშვებს  
 ქართული გიმნაზიებისა, კერძო სკოლებისა და მთავრობის სასწავლებლებისათვის  
 მეთხვე კლასამდე. დაწერილებით ცნობების მიღება და ყმაწვილთა ჩაწერა შეი-  
 ძლება საღამოს 4-დან 7 საათამდე, ოთხშაბათსა და ხუთშაბათს, მისამართი: მა-  
 მადავითის ქუჩა, № 36, ბინა მარამ ერისთავისა. 8—3

**„კაფე პარიზი“**  
 ბაიხსნა წინანდელ შემოგზავნი, სხახლს ძ., თ.-აზნ. ძარვასლაში,  
 იგი გამწვინებულთა და გალამაზებულთა სატახტო ქალაქების პირველ-ბარისხო-  
 ვან სასაღილო-რესტორანების სტილით.  
 ყოველ დღე გვაქვს ვეროლუ და ჩვენებური, საქმელები, რომლებიც ნამდვილ კარაქ-  
 ბზე მზადდება გამოცდილ ჯერმანის ხელმძღვანელობით. სასაღილო-რესტორანს აქვს  
 მუდრო ბაღი, სანარტე და საბილიარტო, განყოფილება 4 ბილიარდით და 10 ნარდით.  
 სხვა და სხვა ხილულობის წყალი, ნაყინი, ღობი, საცივი და ყოველგვარი იმერული  
 საქმელები. თვით მოხადილეთ დიდი შედგავით.  
 პატივისცემით დ. გიგინბერია.

**პირველხარისხოვანი სასაღილო**  
**„კაფე ბორდო“**  
 მიხეილის პროსპექტზე, № 18 და მიხეილის ქუჩაბანი № 1.  
 ყაბა, ჰოველგვარი ცხელ-ცხელი საშუამ დილის 9 საათიდან 12 საათამდე.  
 საღილო 1—6 საათამდე, საღილო 2, 3 და 4 თავეთი. აგრეთვე ჩვენებური სა-  
 კმელები: ხარხო, ღობი, საცივი, ხაჭაპური, ნაყინი და სხვა და სხვა ხილის წყა-  
 ლი, ცხელი „პარიკები“. თვითრად მოსაღილოთ შედგავით ეძლევათ, საღილო  
 ვგზავნით ოჯახებშიც. სასაღილო ღიაა დილის 8 საათიდან საღამოს 11 საათამდე.  
 პატივისცემით რაფდენ იხელიანი.

ბულგარეთი, რომლისთვისაც სისხლსა  
 დერიდენ ჩვენი წინაპრნი, და თუ მარ-  
 თლა ბულგარეთი რუსეთის წინააღმდეგ  
 გაილაშქრებს—იმდენად დაუგერებე-  
 ლი და უაზრო იქნება, რომ რუსის ხალ-  
 ხში გამოიწვევს არაჩვეულებრივ ზიზლს  
 და შურისძიების გრძნობას ბულგარეთი-  
 სადმი. ბ. ვ.  
 ბრესტის დაცლა.  
 ბრესტის დაცლის წინა დამეს სასტი-  
 კი ბრძოლა იყო ჯარისკაცები განსა-  
 ცხვრებელ ენერგიას იჩენდენ. უეცრივ  
 ბრძანება მოვიდა, რომ ქალაქი დაცე-  
 ლათ. ჯარები სრულის წესით სტოვებ-  
 დენ ქალაქს. ყველა სიმარგრიდი აფეთ-  
 ქებულ იქმნა, როგორც ხიდები, შენო-  
 ბები დასწვეს, აფეთქეს და მოსპეს  
 ტყვეიწამლის საწყობები. საზოგადო პე-  
 ნიტა ცეცხლმა და ჰაერობლანებმა გა-  
 მოწვივა. ჯარებს უკან მცხოვრებნიც  
 გაჰყვნენ. უკან ნანგრევთა მეტი აღარა  
 დაუტოვებიათ რა. ბ. ვ.

**შტაბის დეკრეტი**  
 პეტროგრადში, 25 აგვ. ოფიციალი.  
 რიგის რაიონში მდგომარეობა უცვლედ-  
 ლია. ფრიდრიხშტადტის სამხრეთით  
 დამით 24 აგვ. გერმანელებმა ენერგი-  
 ული იერიშები მოიტანეს მდ. დაუნ-  
 ტისკენ. დამის იერიშები რუსთა მიერ  
 მოგერებულ იქმნა. სვენტისა და ვი-  
 ლიის შუა და ვილიისა და ნემანის  
 შუა მდგომარეობა წინანდელ პირობებ-  
 შია. გერმანელთა იერიშები 24 აგვ.  
 დაბა ორნზე და მდ. მერეისკის ქვემო  
 ნაპირზე რუსებმა მოიგერეს. შუა ნე-  
 მანზე 23—24 აგვ. გერმანელები გრო-  
 დნოდან მოყოლებული აღმოსავლეთით,  
 სამხრეთ აღმოსავლეთით და სამხრეთ-  
 თით ავითარებდნენ შეტევას. დასრული  
 24 აგვ. რუსთა არიერგარდებს დიდი  
 გასაპირი დაადგათ განსაკუთრებით  
 ვოლოკისკის რაიონში და პრუჟანის  
 სამხრეთით მოელს ფრონტზე. იახელ-  
 დისა და ვინის შუა ბრძოლის შემდეგ  
 ნომსკ-დრომინის ხაზზე რუსები არე-  
 რებენ გერმანელთა იერიშებს. რკინის  
 გზის გაწვრივ კოველ-სარნაზე რუსის  
 ცხენოსნები არაერთხელ შეიჭრნენ  
 გერმანელთა ჯარებში, განსაკუთრებით  
 ხ. ვოლოკისთან, კოველიცის რაი-  
 ონში და დაბა კოველიცთან, სადაც  
 ტყვედ წამოყვანილია 3 აფიცერი და  
 150 ჯარისკაცი. სტრის მარჯვენა ნა-  
 პირზე 24 აგვ. რაივილოვის რაიონში  
 მკაცრი ბრძოლა მოხდა. გერმანელთა  
 გაცივებით მეტ ძალეებს რუსებმა ვე-  
 ღარ გაუძლეს და ბრძანების თანხმად  
 დაიხიეს წინდაწინვე გამაგრებულ პო-  
 ზიციებზე მდ. გორინა სტუმბე-იკვავე.

**გაღწერას სწავრ** მანაჰინს  
 საზაფხულო და საფარ მანაჰინაჰე  
 მუშაობის სწავლასა  
 ხელმისაწვდომ ფასებში ჰკისრულობს  
 ი. თ. გვათუას კანსორა  
 ვერის დაღმართი № 1  
 ტელეფონი 17—05

**დოქტორი მედიცინისა**  
 მოსე ანთიმოსის ძე  
**კალანდარიშვილი**  
 უმფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსისა.  
 ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ ხნე-  
 ულებიან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე  
 ოლას ქუჩა, № 3, სახლი მეღიკ-აზა-  
 რიანისა.

ძ. მ. რ. შ. ი.  
**ექიმი ნ. მ. კლიმიაშვილი**  
 იღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულ-  
 ბიან ავადმყოფებს.  
 აკაკის ქუჩა, შეფის აფთიაქთან

ქილის ექიმი  
**ნიმე რცხილაძე**  
 იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და  
 საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14  
 და კირიჩინი შესახვევის 21.

სერეტზე ხანგრძლივი დუმილის შემ-  
 დგ ტარნაპოლზე გერმანელები მრავ-  
 ვალჯერ წამოვიდნენ იერიშით, მაგრამ  
 ვერც ერთხელ გაიმარჯვეს.

**რედაქციისგან**  
 „სახალხო ფურცლის“ გუშინდელ ნო-  
 მერში შემდეგი განცხადება დაბეჭდილი  
 ხელმოწერილი რედაქციისაგან:  
 ჩვენს რედაქციაში მოვიდნენ ბ-ნი  
 მიხეილ დავითის ძე ჰაჭავაძე და შალვა  
 ამირჯანი, სოჭეს, გაზეთ „საქარ-  
 თველო“-ს რედაქციის რედაქციისაგან  
 „სახალხო ფურცლის“-ს რედაქციისა-  
 გან, პირველი უკანასკნელს სთხოვს  
 დაკმაყოფილებას განსაზღვრულის წე-  
 სითით.  
 ჩვენი რედაქცია არა კულტურულ  
 საშუალებად სცნობს იმ წესს, რომ  
 მწვინდაც „საქართველო“-ს რედაქცი-  
 ბულნი გველაპარაკებოდნენ და ამი-  
 ტომ უარს ამბობს ამ წინადადებაზე.  
 მაგრამ ამასთანავე რედაქცია აღნიშ-  
 ნავს, რომ თუ „საქართველო“-ს რე-  
 დაქცია თავის თავს შეურაცყოფილად  
 ჰგრძნობს, არსებობს მრავალი კულ-  
 ტურული საშუალება შეურაცყოფილი  
 თავმოყვარეობის დასაკმაყოფილებ-  
 ლად, მაგალითად, სამედიტატორო სა-  
 სამართლო.  
 „სახალხო ფურცელი“-ს რედაქცია.  
 ჩვენი მკითხველისთვის რომ უფრო ნა-  
 თელი ვახდეს, რას შევხება „სახალხო  
 ფურცლის“ ეს განცხადება, ჩვენ ქვემოთ  
 გებეჭდათ იმ საბუთებს, ოქმებს იმ ნაბი-  
 ჟისას, რომელიც გადასდეს „საქართვე-  
 ლოს“ რედაქციისგან, რომელთაც „სა-  
 ხალხო ფურცლის“ რედაქციისთან მილა-  
 პარაკება ჰქონდათ დავალებული.  
 ამ საბუთების წაკითხვის შემდეგ  
 რომელთაგან ერთი 24 აგვისტოს არის  
 შედგენილი, იმ დღესვე, მოლაპარაკების  
 შემდეგ და მეორე 25 აგვისტოს, აგრე-  
 ბივე იმავე დღეს და რომლებსაც მხოლოდ



კოლხედიური გადაწყვეტილება არ ყოფილა. რედაქციამ არც კი იცოდა, თუ ბიურო არსდებოდა, რადგანაც ამით იგი ერთ წუთსაც არ დაინტერესებულა...

ერთ კერძო კრებაზე, სადაც რედაქციის რამდენიმე წევრიც მოჰყვა, ერთმა თანამგონებმა კონკრეტული გადაწყვეტა და გვითხრა: ვანა რედაქცია ოფიციალურად გამოდის არჩევნებში, რომ კონკრეტულ გამგზავნულ პირად რედაქცია აღნიშნული, და პასუხის მიმღებ პირად რედაქციაო. ამ გარემოებამ ყველა აგვაშოთა. ვასაგებია იყო. რედაქციის არც თათბირი ჰქონია ამ საგანზე და მასასადამე არც დადგენილება რამ გამოუტანია. ცხადია არც არავის უნდა ჰქონიყო უფლება რედაქციის სახელით ასეთი ნაბიჯი გადაედგა. დავეკითხეთ ბ-ნ ადამაშვილსაც, ხომ არ იცოდა, თუ ვინ იყო ავტორი ამ საქციელისა. ბ-ნი ადამაშვილი თვითონაც აღელდა და ის სთქვა რომ ამგვარი წერილები კერძოდ ჩემს სახელზე უნდა მომხდებოდა რედაქციაში, სწორედ ისე როგორც ბ-ნ ი. გოგოლაშვილს თავის სახელზე უნდა მისვლიდა ასეთი წერილებით „სახალხო ფურცლის“ რედაქციაში. (ხელთ გვაქვს კონკრეტული. სადაც კერძოდ ი. გოგოლაშვილის ადრესია აღნიშნული). საკუთოდ ვცანით ეს სიუალები საქვეყნოდ გამოგვეტანა და ის იყო „საქართველოს“ 74 №-ში რედაქციამ სათანადო შენიშვნა მოათავსა.

აი რა მხრივ და რამდენათ ერია „საქართველო“ ბ-ნ ფ. გოგოლაშვილის საარჩევნო კამპანიაში! იმ მთელი სარედაქციო გარემო, რომელშიაც ტრიალებდა არჩევნების საბრალეო საქითხი.

ამ ჩვენმა კანონიერმა შენიშვნამ, არ ვიცით რატომ, საბაბი მისცა ბ-ნ გოგოლაშვილის ყოვლად საზიზღარი ცილისწამება ისროლა „საქართველოს“ კოლეგისათვის. ამ ცილისწამების დასტურის დასკო თვის სიჩუმი „სახალხო ფურცლის“ სარედაქციო კოლეგიაშიც. დადგა ახალი ხანა, ხანა „საქართველოს“ წინააღმდეგ ყოვლად უმგანო კამპანიის წარმოებისა, ცილისწამებისა და უხეობის ნიდაზებზე. ეს უტყუარი ცილისწამება აგებულია იმ დაზარალებულ, რომელიც გამართულა „სახალხო ფურცლის“ რედაქციაში ბ-ნ ადამაშვილსა და არ. ჯაჯანაშვილს შორის.

ეს მოხდა ჩვენი რედაქციის გარეშე და ამიტომ პირადად „საქართველოს“ რედაქციის შეძლება არა აქვს შეამოწმოს, თუ როგორ და რა ნაირ ატმოსფეროში სწარმოებდა ადამაშვილ-ჯაჯანაშვილის ცხარე საუბარი და დიალოგი. ეს ცალკე

გამოძიების საგანი იქნება; ხოლო რედაქციის სწამს, რომ ბ-ნ ადამაშვილს არ შეეძლო იმის თქმა, რაც არ იყო.

სიკრუსი თქმა თავის თავისა და მთელი კოლეგიის პიროვნების გასათახსირებლად შეუძლია ან კუთხედ შემიძარს, ან კიდევ ქვეყნელის არაშადას. ბატონი ადამაშვილი არც პირველად მიგვიჩინა და არც მეორედ. მიუხედავად ამისა, ბ-ნმა გოგოლაშვილმა და „სახალხო ფურცლის“ რედაქციამ შემოგვწამეს თუ არა უსაზიზღრესი ცილისწამება და უმდაბლესი ზნე: სინდისით ვაჭრობა და რადგან ამ ცილისწამების სათავედ ბ-ნი ადამაშვილი იქმნა გამოყვანილი, რედაქციამ ბ-ნი ადამაშვილი მყისვე დაითხოვ კოლეგიიდან, რათა სრული თავისუფლება ჰქონიყო მოქმედებისა. დღეს უფუნი-დღეს გრძობაში შელახული „საქართველოს“ კოლეგიის წინაშე სდგას ორი ბოროტი ცილისწამებელი: ბ-ნი ფ. გოგოლაშვილი, „სახალხო ფურცლის“ კოლეგია და ბრალდებული ადამაშვილი, რომელსაც ერთი და მეორეც ხელს ადებდა—„აი ამან სთქვა ესაო.“

„საქართველოს“ კოლეგია სამივე პირისაგან ნათქვამის პასუხსებებს მოითხოვს. ბ-ნი ადამაშვილი ჯერ მარტო კოლეგიიდან დათხოვნილია; „სახალხო ფურცლისადმი“ ნაბიჯი გადადგმულია სრული დაკმაყოფილების მისაღებად. ბ-ნი გოგოლაშვილი მორიგი პასუხსებებელია.

აღვნიშნავთ იმასაც რომ არჩევნების თაობაზე გაზეთ „საქართველოში“ ორივე კანდიდატის შესახებ გარდა უბრალო ქრონიკისა, გარდა ცარიელი ფაქტების აღნიშვნით არა ყოფილა-რა.

ეს არის მთელი ისტორია იმისა, თუ რა სახით „სახალხო ფურცლის“ ბ-ნი გოგოლაშვილის კანდიდატურა „საქართველოს“ რედაქციაში, — ისტორია სადაც და უბრალოდ ნაშრობი. ფაქტები აღვნიშნავთ ისე, რომ არც ერთი მათგანი არ შეგვეწყუბებია, იმავე ქრონოლოგიური წესზე, როგორც ამას სინამდვილეში ჰქონდა ადგილი. დავივიწყებთ კამპანია და სხვების საქციელის ახსნა-განმარტებასა და გამოუტყებას. ჩვენთვის ძვირფასია თვით მკითხველი გამომგვყვას და გამოიტანოს თავისი დამოუკიდებელი აზრი და მსჯავრი მოთხრობილ ფაქტების მიხედვით.

ცილისწამება მეორე საკითხია. კოლეგიალურ პიროვნების უმწიკვლობის

ამოუყრევინა, მაგრამ იყიდა მეორე, მესამე და ის რუბიკონიც გადალახა: დალაქს ძირამდე გააკრეპინა, ხოლო შუბლის ზემოდ დაარჩინა გრძობად და აი ამ სიმინდის ქოროსავით ჩამოშვებულ თმას ხან ალმა ვადივარცხნიდა, ხან წაიღმა. მეტ წილად კი შუბლზე ჩამოიწვეოდა, მაღიზიან ფრონტზე გარბოდა, განსაკუთრებით საღამო ეპას, როცა შინ დაბრუნების დრო ახლოვდებოდა, აქ ერთ მორევის პირს სარკედ ხმარობდა, ჩიხედავდა შიგ, მოსიყვებოდა ქოროსს, პირს ერთხელ კიდევ დაიბანდა, ჩოხის კალთით მოიწმინდა და ისე გაუდგებოდა გზას. ამ დროს მას ნახირი იმდენად აღარ აფიქრებდა, რამდენადაც ქოროსი. ხელი გულს მალმალ დაითურთხებდა, თმას ასე ჰგოსავდა, რა არის, შუბლზე ღამაზად მქონდეს მიწებებულა.

უნდა გენახათ, რა ამაყად ჩავლიდა ხოლმე ღვთისო სოფელში! მელანო სოფლის თავშივე ჰხდებოდა. ერთმანეთს შესციკინათელებდნენ, ერთი სიამაყით, მეორე ცინტარებით. აშას, რა თქმა უნდა, მალე ჯვრისწერაც მოჰყვებოდა. ეს ასეც მოხდა. მელანოს დედა ცინტარტავით დატრიალდა, რომ ასეთი ზედსიძე იმყოფნა, „ეხლა კი მეშველია, ჩემს ქვირთხობას მოელი ბოლოო“ და ნეტარებით გაჰყურებდა წველ მტრედსავით მოაღვრეს ახალგაზრდა ცოლქმარს, რომელნიც, მართლაც, ზღაპრულ ცხოვრებას ეწეოდნენ.

აი, წლის თავზე ვაქც ეყოლათ. რა ზეიმი შეექმნათ ოჯახში! ვარსკვლავი იყო მოწყვეტილი, გაბადრული მთვარე, რომელსაც ამირანის ხმალიდა აკლდა, თან არ დაჰყოლოდა, თორემ სხვაფრთვ ზღაპრულ გმირსავით იზრდებოდა. მთელი სოფელი იყო და ეს. ყველა ულოცავდნენ. ნახვის თანავე გვერდით იფურთხებოდნენ, ვითომც ეშმაკის თვლი არ ეცესო. ბედნიერ ცოლქმარის სიამაყესაც საზღვარი არა ჰქონდა. დღედა ხომ სულ გადარეული იყო. ცო-

შეღახვისათვის „საქართველოს“ კოლეგია დანაშაუვითავე მოითხოვს მაქსიმალურ დაკმაყოფილებას. საამისო ნაბიჯები გადადგმულია კიდევ.

„საქართველოს“ სარედაქციო კოლეგია.

მოსალოდნელ უიგილოების გამო

25 აგვისტოს მეორე კრება ჰქონდა მეორეულ კრებაზე არჩეულ შიმშილობის წინააღმდეგ მებრძოლ ბიუროს. თავმჯდომარეობდა გ. ზ. ქურდიანი. ბიუროს მდივნად კრებამ აირჩია პ. დ. საყვარელიძე. დადგენილი იქმნა წერილობითი შეეკითხონ სოფლის საკრებლოთა აშხანაგობათ იმის შესახებ, თუ რამდენი სკიორდება სოფელს სათესლე და საკვები მასალა. პასუხი დაუყოვნებლოდ უნდა იყვეს გამოგზავნილი ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებაში. აგრეთვე დადგინდა, ადგილობრივ პირობების გასაგებად ამ დღეებში გაიგზავნონ ზუგდიდის მაზრაში ავრონაში ელისზარ კარბელაშვილი და ბიუროს მდივანი პავლე საყვარელიძე. შემდეგ კრებამ მოლაპარაკება გამართა გომის სინდიკატის გამგე თავ. ვ. ე. ბაგრატიონ-დავითაშვილთან სათესლე და საკვები მასალის შექმნის შესახებ. აზრის გაცვლა-გამოცვლის დროს გამოიჩინა, რომ საჭიროა ჩრდილო კავკასიაში წავიდეს ბ-ნი ბაგრატიონ-დავითაშვილი საკვებ მასალის მანადების გასაგებად. რაც შეეხება სათესლე მასალას, საკითხი ამის შესახებ ჯერ-ჯერობით გამოურჩეველი დარჩა, რადგან, როგორც ბ-ნმა ბაგრატიონ-დავითაშვილმა განაცხადა, სინდიკატს ამ ეჟამად არ მოეპოვება ასეთი მასალა, ხოლო ჩრდილო კავკასიიდან მოტანილი სათესლე არ გამოდგება ჩვენში.

დროებითი კანონი მთრამ რიბის მოლაპარაკება შესახებ.

1) მეორე ხარისხის მოლაშქრენი შერიცხულ იქნებიან საზოგადოებრივ მოლაშქრეთა რიცხვში და აგრეთვე მათგან უნდა შეავსონ და ჯაბდლონ მუდმივი ჯარები; 2) მეორე ხარისხიან მოლაშქრეთა გაწვევის საჭიროება გამოცხადდება ხელმწიფე იმპერატორის უმაღლესი მანდიფრტის; 3) წლოვანება გასაწვევ მოლაშქრეთად ადგილები, საიდანაც უნდა იქმნენ ისინი გაწვეული, განსაზღვრული იქნება სენატისადმი უმაღლეს ბრძანებაში. საერთო რიცხვი გასაწვევ მეორე ხარისხის მოლაშქრეთა და იმათი განწილება გუ-

ბერნიებსა, მაზრებსა და აგრეთვე მხედრობის სხვა და სხვა ნაწილში გარკვეული იქნება სახმედრო მინისტრის მიერ შედგენილ სიგეში, შინაგან საქმეთა მინისტრთან შეთანხმებით, რომელნიც უმაღლესის ნებართვით უნდა დამტკიცდეს; 4) მეორე ხარისხიან მოლაშქრეთ, მათი გაწვევის შესახებ განცხადების გაკვრის შემდეგ, სამი დღის ვადა მიეცემათ თავიანთ შინაურ საქმეების მოსაწესრიგებლად, რის შემდეგაც ისინი ვალდებული არიან ხსენებულ განცხადებაში ნაჩვენებ ადგილას გამოცხადდნენ.

ახალი ამბავი

პოეტის ვაჟაფშაველას დაკრძალვის ხარჯებს გადაარა 1.389 მან. 30 კაპ. ეს ფული დღეს ქ. შ. წ. კ. გამაგრეკლებელ საზოგადოების გამგებობის განკარგულებაშია. როგორც სიანს ვახუთში იყო ამას წინად მოხსენებული, ორი მესამედი გადარჩენილი ფულისა, კომიტეტის დადგენილებით, უნდა მიხმარებოდა მგოსნის ცოლ-ვილს, ხოლო ერთი მესამედი უნდა მიმართებოდა სალიტერატურო ფონდს. მაგრამ ესლა წერა-კითხვის საზოგადოების გამგებობამ გადასწყვიტა, მოიწვიოს ქართულ კულტურულ-განმანათლებელ საზოგადოებათა წარმომადგენლები და მათთან ხელახლა იქონიოს მსჯელობა იმის შესახებ, თუ რა საგანს მოახმარონ აღნიშნული ფული. გამგებობის წინააღმდეგობით წერის აზრით, ეს ფული უნდა მოხმარდეს პოეტის ძეგლის აგებას.

შუამდგომლობა. ამ დღეებში ქალაქის გამგებობას თათბირი ექცება, რომ მთავრობის წინაშე შუამდგომლობა აღიძრას იმის შესახებ, რათა ოურიევის (დორპატის) უნივერსიტეტი და ნოვო-ალექსანდრის სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტი თბილისში იქნას გადმოტანილი. გამგებობის წევრები თუ შეთანხმდნენ ამ საკითხის შესახებ, დადგენილება წარედგინება საბჭოს საგანგებო კრებას დასამტკიცებლად.

საარჩევნო სიები. ხმოსანთა ამომრჩევლების სიები უკვე დაიბეჭდა და ამ დღეებში გამოქვეყნებული იქნება ყველა 12 საპოლიციო ნაწილში. ვინც რაიმე შეცდომას იპოვის სიებში, ქალაქში, ქალაქის გამგებობას უნდა განუცხადოს.

მეთორწეების თხოვნა. თბილისში არსებობს მეთორწეთა ამხანაგობა „რაქა“. ამ ამხანაგობის წარმომადგენელმა თხოვნი მიმართა ქალაქის გამგებობას,

შსსნიან, მაგრამ მომგებიანი მილიონში ერთს ძლივას ჰხდებოდა, დანარჩენი კი ფრთებ შეეცეკონი ეცემიან ფუჭ ბილეთების ანაბარად. იგი იმასაც მიჰხედა, რომ არც თუ ის დარჩა ბედნიერი, ვისაც ბედმა წუთითრად გაუღიმა. მისთვის მცირედი ტალღა იყო საჭირო, რომ ზურმუხტით დატვირთული ალტაების ხოლოდი უფსკრულსაკენ წასულიყო. აბა, ეხლა მისთვის ცხადი შეიქნა, რომ ის, რასაც ჩვეულებრივ ენახე ბედნიერებას ეძახიან, მეტად ფაქიზი, დაუღვრო-მელი და ნიავსავით სუბუქი რამ არის, რომელიც წუთით გამოგვიქორობს, წუთით მოგვალანდებს ჯადოსნურ სახეს, მაგრამ იმ წამსვე ვაჭკობდა და გადგე-მალგება, რომ უფრო მეტად მოგაწყუროს თავისი თავი. ეს იყო ღვთისოს ფეიცისცვალება, მისი თვალის ახელა. იგი ამ დროს პირდაპირ შეჰყურებდა იმავე მზეს, რომელიც ერთ დროს უცინოდა, იმავე ყვავილს, ასკილის ბუჩქს, ანკარა წყაროს, რომელიც ვინ იცის ერთ დროს რა ზღაპრებით არა ჰიბლაღდნენ, ეხლა კი მისთვის არც ერთს ეცალა, ყველა დამწუხრებულიყო და ღვთისოს შეკითხვაზე, თუ „რა იქმნენ საკრებულნი ესე აღთქმანი“—ისინი მხოლოდ მუნჯ მტყუებლებით დასცინოდნენ. ამაოდ ელოდა ღვთისო პასუხს: ცა პირს იკრავდა, მზე იმილის ღამაპარს იქრობდა, სდუმდა წალკოტი, თვით ბუჩქნარნიც არარას უზნობდნენ და სიცოცხლე უსიცოცხლობის ველ-მინდორად ეჩვენებოდა, სადაც დანგრეულ სარკოფაგებს ჩაუნთქავთ მისი ბრძოლის სამართო, ოცნებათა საოცნებო სიზმრის კოშკები...

მელანომ უნუგეშო ცრემლების დაბალუბით უპასუხა. — ჰო და რა, გვიწყენს მა რა იქნება... იმან მოგვცა, იმანვე მოგვცა... დაილოცოს იმისი სამართალი...

ცეცხლა პირას ჩამოვდა. ჩიბუხს მოუხედა. სახე მშუმნარებით მოელუშა. ნათლად ჰხედებოდა, რომ მისი სიტყვები მხოლოდ ლიტონი სიტყვებია, რომელიც თავ სინამდვილეში არავითარი ღირებულება არა ჰქონდათ, თუ თავის მოტყუებას არ მივიღებთ მხედველობაში. სხვაფერ ღვთისოსთვის ყოველისფერი დაიმარხა. მან ესხლა სულ სხვა რამ აღმოაჩინა, სულ სხვა რამ, რომელიც ასე თვალსაჩინო იყო მანამდე, მაგრამ ის კი ვერა ჰხედავდა. ეხლა მიხვდა, რომ ყოველისფერი ბედზე ჰქონდა, ეს იმ ბედზე, რომელიც მის თვალში ღმერთზე უფრო ძლიერი იყო და ლატარის ბილეთებს ურიგებდა გარშემორტყმულ ხალხს. ეხლა ჰხედავდა, თუ ეს ხალხი რა თავპირის მტრეგვით აწყდებოდა ბილეთების ასაღებად, ჰხედავდა წინასწარვე უფუნურს აღმაფრენას, როდესაც თვითელი მათგანი ოცნებობდა გამდიდრებას, ერთი სიტყვით, გაბედნიერებას. მაგრამ აი, შსსნიან ბილიეთებს ათასობით,

(შემდეგი იქნება)

დ- კახაძე.

რომ 100 ვაგონი ფეკილი გამოვიწვირეთო, რადგან ამ დროს უკვე მთლიანად ვაჭრები ძვირად... და ამის გამო ჩვენაც იძულებული ვართ გამოცხადდეთ პურს ფასი მოვუმატოთო.

თეთრულის დღე. 21 და 30 აგვისტოს კავკასიის მთავარი კომიტეტი შეაგროვებს გადმოხვეწილ სომხებისათვის თეთრულს, ლებ-საბნებს და ჩიი შაქარს.

ცნობები თბილისის შესახებ. უკანასკნელ ანგარიშით თბილისს უკავია სულ 2.826 ოთხუთხი დესეტინა ადგილი; ამ რიცხვში 1.430 დესეტინაზე შენობებია აგებული, დანარჩენი სივრცე ქუჩებს უჭირავს. ქალაქს ეკუთვნის 44 დესეტინა ადგილი. 18 დესეტინა უჭირავს ბაღებს და სკვერებს. საძოვარი ადგილები აქვს ქალაქს 3.616 დესეტინა. მიმდინარე წლის პირველ იანვარს თბილისში ირიცხებოდა 343.950 მკვთვრები.

ხოლერა. 25 აგვისტოს ქალაქის ლაზარეთში მიიყვანეს ხოლერიანი 7 და ხოლერის ნიშნებით 1 კაცი. ხოლერის ნიშნებიანთა შორის ლაზარეთში ნამდვილი ხოლერიანი აღმოჩნდა 4 კაცი. 26 აგვისტოს ლაზარეთში იმყოფებოდნენ ხოლერიანი 98, ხოლო ხოლერის ნიშნებით 11 კაცი. ხოლერიანთა შორის 31 კაცი სახედრო წოდებულ ეკუთვნის, ხოლო ხოლერის ნიშნებიანთა შორის 2 კაცია სამხედრო წოდებისა.

გადამდები სენი. 26 აგვისტოს ქალაქის თავშესაფარში იმყოფებოდნენ: ქუთურშიანი 33, ხუნგაიანი 11, ყვავილანი 1, მუსელიანი 4, საოფლიანი 26 და შვიი სახალიანი 46 კაცი.

დაპირილი და ავადმყოფი ჯარისკაცი. თბილისში ჩამოიყვანეს და სხვადასხვა ლაზარეთში მოათავსეს შემდეგი დაპირილი და ავადმყოფი ქართველი ჯარისკაცი: ხერხელაური ზაქრო ივანეს ძე, კალანდარიშვილი აქესანდრე ივანეს ძე, სულამაძე ვასილ სიმონი- ძე, კობახიძე ბექტორ ოქროპირის ძე, კურცხალია ისიდორე პეპოს ძე, პოკიბაია ნიკო ივანეს ძე.

შემიშლილი ბორჩალოში. ბორჩალოს მაზრის სოფლები—დამანსი, წერაქვი, ბალითი და რატევიანი დიდ გაჭირვებას განიცდიან მოუსავლობის გამო. სათესლე ხორბალი ალუთქვამს ხალხისთვის ადგილობრივ მემამულეს გ. გ. შაუმოვს, ხოლო საკვების შესახებ ხალხში მიმართა ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოებას.

წერა-კითხვის საზოგადოებაში. 25 აგვისტოს ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების გამგებობას კრება ჰქონდა, რომელშიც დაადგინა: 1) ზუგდიდის ქართულ სკოლის მასწავლებლად განწესებულ იქმნას ბესარიონ წიფურია, ხოლო ნუკრია-ნის სკოლისათვის მასწავლებლის მოწვევა მიერნოს საზოგადოების განყოფილებაში სიღნაღში; 2) აკურთის (ბორჩალოს მაზრა) სკოლის მასწავლებლად დროებით მოწვეულ იქმნა მიხეილ ბიჭორი-შვილი; 3) განეგრძოს სტიპენდიის ძლევა სტუდენტს ალექსანდრე ციციშვილს და აგრეთვე სტუდენტს დავით ჩიქოვანს კურსის დასრულებამდე.

შემიშლილობის წინააღმდეგ ღონისძიებანი ქართლში. 6 სექტემბერს გორში კრება იქნება ქართლის წერილ კრებითა და შეინახველ-გამსესხებელ ამხანაგობათა წარმომადგენლებს კრებაზე მიწვეული იქნებიან ქართულ სასოფლო-სამეურნეო და საქველმოქმედო საზოგადოებათა წარმომადგენლები, აგრონომები, ინსტრუქტორები, საზოგადო მოღვაწენი და საერთოდ ყველა პირები, რომელთაც მკუდრო კავშირი აქვთ სოფლის ცხოვრებასთან. კრების საგანია გამოარკვიოს 1) რაოდენობა საჭიროების ქართლში თესლისა და საკვებ მასალისა, 2) სად და როგორ შეიძინონ ხალხისათვის ხსენებული სათესლე და საკვები მასალა და 3) გამოიხონ საჭირო თანხა ხსენებულ მასალათა შესაძენად.

ღოთისოს წინააღმდეგ. ბ-ნი თბილისის გუბერნატორი აცხადებს, რომ თანახმად უმაღლესად დამტკიცებულ დებულებისა, ადმინისტრაციულის წესით დასჯის იმ პირთ, რომელნიც საჯარო ადგილზე მთვარელები გამოიყენებენ: პირვე-

ლად გუბერნატორი დააპატიმრებს ერთიდან ორ კვირამდე, ანუ 25—50 მანეთით დაჯარიმებს; მეორედ ასეთებს ორი კვირიდან ერთი თვემდე დააპატიმრებს, ანუ 50—100 მან. დაჯარიმებს; მესამედ ერთი თვიდან სამს თვემდე დააპატიმრებს ანუ 100—300 მანეთამდე დაჯარიმებს.

დღეს, ხუთშაბათს, 27 აგვისტოს, ხარფუხის საზაფხულო კლუბში გაიმართება უკანასკნელი კონცერტი ივ. პ. სარაჯიშვილისა, ი. ტომაშვილისა და სოლისტ-ვიოლონჩელისტ ე. ნ. კოპელნიცის მონაწილეობით. დასაწყისი 9 საათზე. შესვლა კონცერტზე უფასოა.

**შეცდომის განხილვა**

გულმოდგულად შიშით მოთავსებული ლექსი „სამშობლოსადმი“ გ. მეგრელიშვილს არ ეკუთვნის.

**„სახალხო ფურცალი“ და მისი განვითარება**

წარსულ კვირას გაზეთი „სახ. ფურცლის“ ასოთამშობობა თავიანთ მომუშავეთა შორის სრულიად მოულოდნელად შეიპყრეს ქურდი მენტრანაძე. აი როგორ მოხდა ეს სასენსაციო ამბავი: იმ დროს, როდესაც ხსენებულ გაზეთის უფროსი ასოთამშობი ბ. ნი. ი. მჭედლიშვილი ეგრედ წოდებულ „ოტპუსკში“ იყო წასული დასასვენებლად და სრულიად დამშვიდებული, რომ არავითარ მარცხს არ მოელოდა თავის კომპლექტისაგან, სწორედ ამ დროს ფარდა აეხადა მის ორგანიზაციულად მოწყობილ ქურდობას. ასოთამშობობა მიერ რედაქციისაგან ჯამაგირების მიღებისა და ურთიერთ შორის განაწილების დროს, აღმოჩნდა ზედმეტი 14 მანეთი. გამოძიებამ დაამტკიცა რომ ამ ფულს ბ. ნი. მჭედლიშვილი იღებდა რედაქციისაგან, როგორც განსაზღვრულს სასყიდლს გაზეთის შტატისა და ნამდვილად კი თვითონ ითვისებდა. კომპლექტმა რედაქციისთან შეთანხმებით ერთხმად დაადგინა და მჭედლიშვილი ადგილიდან დაითხოვა. გამოიკვია აგრეთვე რომ გამოქონილი მენტრანაძე ამ ზედმეტ 14 მანეთს მთელი ორი წლის განმავლობაში დებულადა. მიუხედავად ამისა რედაქცია მიიჩნევს არ სწავრება მისზედ, პირნათლად უსწორდება მას, როგორც პატიოსან მუშას, ის საჩუქრად ლეზულობს რედაქციისაგან ორი თვის ჯამაგირს—150 მანეთს და მიღის.

დიდი სიფრთხილედ ჰპირთებთ „სახალხო ფურცლის“ ასოთამშობობა რომ „პატიოსანმა“ მუშამ კვლავ არ ამოყოს თავი მათ კოლეგიაში, რასაც რასაკვირველია მოწოდებს თვით რედაქციის მიერ გამოცემული მოპყრობა პროფესიონალ ქურდის წინაშე.

მოვაგონებ ამხანაგებსა და მკითხველ საზოგადოებას, რომ ეს პიროვნება ის ბ. ნი. მჭედლიშვილია, რომელიც წარსულ წლებში ასოთამშობობის ფსევდონიმით „სახ. ფურც.“-ში წერილებს ათავსებდა ორ მიმართულებათა შორის ატყობილ ცნობილ დავის გამო, და რომელიც სამართლიანი გულისწყურითა და აღშფოთება დამინახურა თბილისელ ასოთამშობობებისა. და კიდევ, ეს ის გამოცდილი და გამოქონილი ასოთამშობობაა, რომლის „ლექსითური წერილები“ არა ერთხელ დასტამბულა თბილისის გაზეთებში, წერილები ასოთამშობობა საყურადღებოდ ბეჭდვითი საქმის ტენიკასა და მის აუცილებლად დაცვის შესახებ.

აღსანიშნავია,—მართლაც რომ კარგად მოუწყვია „სახ. ფურცლის“ გაზეთზედ ტენიკისა და ექსპლუატაციის საქმე.

ამწყობი.

**სოფლა რამ სვანეთი**

სვანეთი გაშენებულია კავკასიონის ქედის უმაღლეს შტოებზე. ჩრდილოეთის მხრით ქ. ქუთაისიდან, იგი წარმოქმნილია და მომხიბვლელი თავის ტურფა და დიად ბუნებით. გარშემორტყმული მაღალი, თოვლით შემოსილი მთები, თვალაუწყებენ, საშინელი კლდეები, გაუვალი ტყეები, მობიბინე მთის ბალახით და ყვავილებით შემოსილი ველ-მინდვრები, საოკლდეთაგან გადმონახეტი ანკარა წყაროები, რძის ფერი წყლის შხენი, ყველანაბრად გაეფა მაკურნებელი წყლები, ათასი მთის და ტყის, გარეული ფრინველ-ნადირნი და სხვა. ყოველივე ეს სასაოცნებო ედემურ მხარეთ და გაუტყველ-მიუვალ სიმაგრედ ხდის სვანეთს. გარშემო მას შემორტყმული აქვს თვალაუწყებელი მთები, რომლებიც ძლიერ აბრკოლებენ იქით-აქით მიმოსვლას, ნამეტურ ზამთრობით, როდესაც დიდი თოვლისაგან მომოსვლა ბევრჯერ ოთხ-ხუთ თვეს შესწყდება, ისეც ფეხით. ცხენით მგზავრობა იქ შესაძლებელია მხოლოდ სამი თვის განმავლობაში. დანარჩენ დროს სვანეთი ჩაკეტილია თვის დიდ დარაჯ მთათა შორის. ბევრი, ძალიან ბევრი უმსხვერპლია ამ საშინელ გზებს და ნამეტურ მთებს, სადაც ზამთრობითი იცის საშინელი ზავი, რომელიც მგზავრებს ელვის სისწრაფით ასაღმებს წუთისო-ველს.

სვანს არ შეუძლია თავის დროზე წავიდეს-წამოვიდეს. ყოველ მოგზაურობის დროს იგი სესხიერებას ცას და ბუნების ძალთა შორის იტებს პასუხს.

ამ უგზობისა გამო სვანი ძალიან დაცილებულია ვაჭრობა-მრეწველობას, დაცილებულია სრულიად ქალაქის ცხოვრებას და რამოდენიმე ას და ათასწელთა განმავლობაში განაგრძობს ისეც თავისე-ბურობას.

მოსავლის მხრით სვანეთი ძალიან მწიკრი ქვეყანაა. ძვირად თუ აქაურ გლეხს წლის სარჩო მოუვიდეს სრულად, მასთან მას არა აქვს საშუალება იზოგონოს თვით სვანეთში ფული და ნაკლი ოჯახისა ფულის საშუალებით გამოაწიროს, ამიტომ სვანი მთელ ზამთარს საქართველოს სხვა კუთხეებში მუშაობაში ატარებს. უმთავრესი მისი მუშაობა მხოლოდ მიწის ბრუნებაა. მკითხველი დაკვირვებულნი თუ იქნება მათ ცხოვრებაზე სოფლებში ხეტიალის დროს, უთუოდ დამეთანხმება, რომ ბედზე სვანთა ცხოვრება მხოლოდ ტანჯვა და მეტი არაფერი.

ბევრი, ძალიან ბევრი დაწერილია მათ უნუგეშო მდგომარეობაზე, მაგრამ სიტყვა სიტყვათა რჩება და მათ ცხოვრების გაუგებრობას არაფერი ეშველა. საქართველოს თითქმის ყოველ მხარეს მხურვალე დახმარება ეძლევა საზოგადოებრივი და მთავრობრივი, ხოლო სვანეთისთვის არც ერთი და არც მეორე.

საზოგადოებრივი სვანი ძალიან ფხიზელი გონებისა და ნიჭიერია.

სწავლა-განათლებას ამ ბოლო ხენებში ძალიან ეტანება ყველა, მაგრამ შეძლება ხელს არ უწყობს. შვილის სასწავლებელში გამოხდა, თავის ხარჯზე, სვანისთვის ძალიან ძნელია და ესაა მიზეზი, რომ სვანეთი სწავლა-განათლების მხრით ძლიერ ჩამორჩენილია. არ არის იქ არაფერი კულტურული დაწესებულება, ვერსად ვერ ნახავთ ერთ სამკითხველოს, საიდანაც მკვლევარებლებს შეეძლოთ ისარგებლონ თურნალ-გაზეთებით, და სხვა წიგნებით. არ არის კარგად დაწყობილი ფოტოს მიმოსვლა რომ კაცს შეეძლოს გაზეთების ან სხვა ჟურნალების გამოწერა (ზაფხულობით მაინც). ამ ომის დროს ძალიან აინტერესებს იქაურ ხალხს გაზეთები და თუ ოღობათ გაზეთი დაგინახეს ხელში მთელი ბრბო გეხვევა და გარინდებულნი ყურს უგდებენ კითხვას.

ბევრი, ძალიან ბევრი მაგნე ქორება გავრცელებული ომის შესახებ ამ მივიწყებულ კუთხეში. მაგალითად: ამ ზამთარში მე მომიხვდა სვანეთში წასვლა, ვერ წარმოიდგენთ, ყველა ვინც შეხვედებოდა გზაში და დამინახავდენ ქუთაისიდან მიმავალს, როგორ ხეწენ-მუდართით მხოვოდენ მოვყოლოდი რამე ამბავს ომის შესახებ.

არ გამივლიდა კაცი გვერდში ისე რომ

არ გაეჩერებინე რამოდენიმე წუთს

ერთი ამბობდა; „შვილი მყავს წასული ომში და რამოდენიმე თვეა რაც არა ვიცი რაო“. ეგრე ძმა მყავსო, ეგრე ქმარიო, ეგრე მამაო, ყველა ერთნაირად მოსთქვამდნენ. მაგრამ მეც უღმურ მგზავრს რა შემიძლო გარდა იმისა, რომ დამემშვიდებია ყველანი და იმედი მიმეცა შინ მშვიდობით დაბრუნებისა ყველა, ომში წასულთა ვერ წარმოიდგენთ რა ხმები იყო გავრცელებული. სხვა მრავალთა შორის ვიღაც მეჭორეებს ისიც კი გავხრცელებიათ, რომ დავით და კოსტანტინე ადგენ და ომში არიან წასულიო.

ბევრ რამ სურათს ამოკითხავ დღევანდელ მათ ცხოვრებაში, მაგრამ ვინ არის გამკითხავი!..

საქიროა მიაქციოს ყურადღება პატრიკულმა საზოგადოებამ მივიწყებულ სვანეთს და ეკონომიური მხრით მაინც შეუწყალონ ტვირთი.

ამბროსი პირველი.

**ღეკეშები**

**პეტროპოლი, 25 აგვისტო.** გამოქვეყნდა კანონი შესახებ მეორე ხარისხის მოლაშქრებისა, რომელმაც შესცვალა დღემდე არსებული წერს-რიგი ზემოსხენებულ-მოლაშქრეთა ჯარში გაწვევისა.

**ნოში, 25 აგვისტო.** „პრეს ბიურო“ იტყობინება: 21 აგვ. ჩვენ შევიპყრეთ მტრის მუშაობა დუნის გასწვრივ ციხეთის ასაგებლად. 22 აგვ. ჩვენმა არტილერიამ ორჯერ გაისროლა ზარბაზნი. მტრმა შესწყვიტა მუშაობა.

**პარიზი, 24 აგვისტო.** „ტანი“ გადმოგვცემს ბელგიიდან მოსულ კერძო ცნობებს, რომ გერმანელები რკინის გზების გასაფართოებლად, ბელგიიდან პოლონეთში გადმოაქვეთ განსაკუთრებული ვაგონები, ორპირი ლიანდაგი, რაც უკვე დამზადებულია და შალაგებზე გადმართავენ. 600 კილომეტრზე მეტი მოტანილია რუსეთში.

**პარიზი, 24 აგვისტო.** მიმდის ფრონტზე გაცხარებული საარტილერიო ბრძოლა. ფრანგთა ბატარეებმა დიდი სარალი მიყენეს გერმანელთა თბილეს. რუს რაიონში ძლიერი საარტილერიო დუელია. ვაგონებში დიდი ყუმბარებით იბრძვიან. 24 აგვ. გერმანელთა ოთხმა მფრინავმა ლიუნეველს დაუშინეს ყუმბარები. მრავალი მსხვერპლია... კალენი ერთი მფრინავი იძულებული იყო ჩამოშვებულიყო. იგი დატყვევებულ იქნა.

**სტოკჰოლმი, 25 აგვისტო.** ბერლინიდან ოუწყებობა, რომ წყალქვეშა „ყ.“ 27 აღარ დაბრუნებულა აგვისტოს პირველ რიცხვებიდან. იგი დალუპულად მიჩნეა.

**თიბრანი, 24 აგვისტო.** აქაური გერმანელები და მათი მომხრენი უკვე აღარ მალავენ თავიანთ განზრახვას, რომ ქერმანის მუგავსად ისპანდინანც გააძვირონ ინგლისისა და რუსის კონსულები. მდგომარეობა დღითი დღე რთულდება.

**ჰავრი, 24 აგვისტო.** ბელგიის მთავრობის ოფიციალი ცნობა დღის განმავლობაში საარტილერიო ბრძოლა ხდება. ზარბაზნებს უშენდნენ ლამპერისა და რენიეის. ქვეითა ჯარს მინაწილეობა არ მიუღია.

**ნიშიოკაი, 24 აგვ.** ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებამ, რომ ავსტრია-გერმანია წინააღმდეგობას გაუწყვეს მოკავშირეებისთვის სამხედრო მასალებს გადაზიდვას საზოგადოების დიდი აღელვება გამოიწვია. ნიშიოკის საზოგადოება მოითხოვს ელჩს პასპორტები ჩააბარონ.

**როში, 25 აგვ.** ორი ავსტრიის ჰიდრო-ჰაერობლანმა გუშინ ვენციაში ყუმბარები ჩამოჰყარეს, რომლებსაც ზინი არ მოუტანია. ერთი ჰიდრო-ჰაერობლანი ჩვენმა ზარბაზნებმა იძულებული გახდა ზღვაზე დაშობილიყო, ჰაერობლანში მსხდომი ოფიცრები დააპატიმრეს.

**პეტროპოლი, 25 აგვ.** მინისტრთა საბჭომ მოიწონა შინაგან საქმეთა მინისტრის პროექტი მოსალოდნელ საომარ როგორც სახელმწიფო ისე კერძო დაწესებულებათა გადატანისა.

**გონსენება**

სარევიზო კომისიისა, რომელიც არჩეულ იქნა თბილ. ქართვ. სტუდენტთა მიერ 11 აგვისტოს 1915 წ. აპარელთა დამხმარე ქართველ სტუდენტთა კომისია არჩეულ იქნა მიმდინარე წელს მასში, რომელსაც მიენიჭა ფართო ინიციატივა მოქმედებისა. ამ კომისიამ მიზნად დაისახა გაეწია დახმარება ომისაგან დაზარალებულ აქარლებსათვის: უნდა მოეწყობა ლექციები, როგორც თბილისში აგრეთვე პროვინციებში, გაემართა წარმოდგენ-კონცერტები და ნელ-ნელა გამოეცათ წიგნები, რომელთა შინაარსი გააცნობდა ფართ მასას აპარელთა ცხოვრებას და ყოველივე რაც შეეხება მამადიან საქართველოს, უბრალო ყურნალ წერილებიდან, თარგმნილი მეცნიერულ ნაწარმოებებამდე.

მაგრამ ჩვეულებრივი დაუდგრობისა, თუ სხვა რისამე მიზეზის გამო ამ კომისიამ შესძლო გამოეცა მხოლოდ ერთი წიგნისა „სამაჰმადიანო საქართველო“.

ამისათვის დაბეჭდინეს 1200 ცალი, მაგრამ სტამბიდან გამოტანილი იქნა მხოლოდ 1180 ცალი. ამ რიცხვიდან გაიყიდა 13-ს იენის გამართულ სალამოზე ქართვ. საქველმოქმედო საზოგადოების მიერ 530 ცალი თითო 20 კაპ. სულ 106 მან. 30 კაპ. ზედმეტად შემოვიდა 15 მან. 51 კაპ. სულ მიღებულ იქნა იმ სალამოზე 121 მან. 81 კაპ. პროვინციისა გასასყიდად გაგზავნილია 370 ც. ლირებული 74 მან. რის უზრუნველყოფასაც კისრულობენ კომისიის ორი წევრი.

წერა-კითხვის მაღაზიის გასასყიდად მიეცა 60 ცალი და დეთმო თითო 18 კაპ. ამ რიგად წიგნებიდან გასანაღდება პროვინციებიდან 74 მან. წერა-კ. მაღაზიიდან 10 მან. 80 კაპ.

ცენზურს და ზოგერთ პირთ გაგზავნა 33 ც. ღარჩა ხსენებულ კომისიის 187 ც. ლირებული 37 მან. 40 კაპ.

წიგნების დაბეჭვდა და აკინძვა—73 მან. 93 კაპ. ხარჯის გარდა ამ წიგნებიდან ნაღდად დარჩა 121 მან. 81 კაპ.—73 მან. 93 კაპ.—47 მან. 88 კაპ. ამივე კომისიის ჰქონდა 209 მან. თბილ. სტუდენტთა კომიტეტმა მიიღო შემოწმარულებად 50 მან. სულ 306 მან. 88 კაპ.

გეთა-ფშაველს სიკვილის გამო მოწვეულ კრებაზე დაიხარჯა 2 მან. დარჩა ნაღდად 304 მან. 88 კაპ.

ამივე კომისიამ გაყას სიკვილის გამო გამოსცა წიგნაჟი (5000 ც.). 2000 ც. გაიყიდა თბილისში დაკრძალვის დღეს თითო 5 კაპ. ხარჯის გასასტუმრებლად და შემოვიდა 103 მან. 40. ზედმეტად შემოსულა 4 მან. 40 კაპ. რომელიც გადაეცა ვაყას სახელობის ფონდს დანარჩენი 4000 ცალი გაიგზავნა პროვინციის დასასტუმრებლად. სარევიზო კომისიის და აპარელთა კომისიის ორი წევრის დადგენილების 200 მან. უნდა გადაეცეს ქართველ საქველმოქმედო საზოგადოე-

ბას აპარელთა კომისია, რომელიც დანარჩენი 104 მან. 88 კაპ. და მოხატულ შემოსავლი წიგნებიდან გადაეცემა ამავე საზოგადოებას შესანახად, როგორც თანხა თბილისის ქართველ სტუდენტებისა. სარევიზო კომისია.

რედაქტორ-გამომცემელი  
**სანდრო შანშიაშვილი**

კასეთის რკინის გზის მიმოსვლა  
(დრო აღდგომრივ საათით არის ნაჩვენები)

თბილისიდან გადის: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით; უკან ბრუნდება: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**თბილისიდან გადის:**

თბილისიდან	8 ს. 13 წ. დილ.
ნავთლულ-ამიერ-კავ.	8 „ 40 „ „
ნავთლულ-კახეთ.	8 „ 58 „ „
ვაზიანიდან	10 „ 06 „ „
ივრიდან	21 „ 15 „ „
საგარეჯოდან	11 „ 58 „ „
ბაღდადიდან	12 „ 56 „ „
მელაიდან	2 ს. 16 წ. საღ.
გურჯაანიდან	2 „ 37 „ „
კარდენახიდან	4 „ 12 „ „
წნორის-წყალზე	4 „ 44 „ „

**გურჯაანიდან-თელავამდე № 7.**

გურჯაანიდან	3 ს. 42 წ. საღ.
ვანჩოიანიდან	4 „ 33 „ „
თელავში	5 „ 27 „ „

**თბილისიდან-გორის:**

წნორის-წყალიდან	8 ს. 58 წ. დილ.
კარდენახიდან	9 „ 41 „ „
გურჯაანიდან	10 „ 24 „ „
მელაიდან	11 „ 39 „ „
ბაღდადიდან	12 „ 59 „ დღ.
საგარეჯოდან	2 „ 80 „ „
ივრიდან	2 „ 50 „ „
ვაზიანიდან	3 „ 55 „ „
ნავთლულ-კახეთ.	4 „ 58 „ „
ნავთლულ-ამიერ-კავ.	5 „ 13 „ „
ბილისში	5 „ 28 „ „

**თელავიდან-გურჯაანამდე № 8.**

თელავიდან	8 ს. 54 წ. დილ.
ვანჩოიანიდან	2 „ 58 „ „
გურჯაანში	10 „ 07 „ „

ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა  
(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)

**თბილისში გოდის:**

№ 3 ბაქოდან	12 ს. 54 წ. დღ.
№ 4 ბათობიდან	5 ს. 55 წ. საღ.
№ 5 ბაქოდან (სწრაფი)	7 ს. 41 წ. საღ.
№ 10 ბათობიდან	9 ს. 51 წ. დილ.
ჯულფიდან	6 ს. 53 წ. დილ.
ბორჯომიდან	7 ს. 25 წ. დილ.
„ საგარ.	10 ს. 28 წ. საღ.

**თბილისიდან გადის:**

№ 3 ბათობისკენ	1 ს. 45 წ. დღ.
№ 4 ბაქოსკენ	7 ს. 3 წ. საღ.
№ 6 ბაქოს (სწრაფი)	12 ს. 8 წ. დღ.
№ 9 ბათობისკენ	8 ს. 53 წ. საღ.
ჯულფისკენ	10 ს. 23 წ. საღ.
ბორჯომისკენ	3 ს. 29 წ. დღ.

**წიგნის მაღაზია**  
**„ახალი სიტყვა“ („НОВАЯ РЪЧЬ“).**  
ი. დ. კიკნაძისა.  
თბილისი, გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.  
გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნი; ვკისრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადო, საერო, საქარხნო, სასკოლო, საბავშვო და სხ.  
განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქგარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში.  
(წ.—33)

**თავის მრავალნი**  
**გვ. გეგველოვაძე**  
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9, ტელეფონი № 712.  
**განყოფილება ავლაზარში**  
კახეთის ქუჩა, საკუთ. სახ. № 7, ტელეფონი № 712.  
ყოველდღე მოვლის საკუთარ და საჯარო სახლ. „მ. მაილდონის-შობი“, სამრეწველოებიდან ახალი ქვირთის ნიჟილადა, მცირე მარლიანი, შავი „მეშინი“ ნიჟილადა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო. გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარძინები რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.